საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №22

2016 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

„ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 17 იანვრის №2 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის V ჯგუფს (ინტენსივობის მიხედვით 0-25 ავტომანქანა დღე-ღამეში) დაემატოს შემდეგი საავტომობილო გზები:

№	საავტომობილო გზების დასახელება	სიგრძე კმ	შენიშვნა
902	დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩის მე-3 შესახვევი	2.5	
903	განთიადი-კაპრეშუმი (მწვანე უბანი)	2	
904	კახიძეები-ყრუღელე-ცისკარაძეები	2	
905	აჭარისწყალი-ევგენიძეები	1	
	სულ V ჯგუფი:	**2361.375**	
	სულ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში:	**3432.305**	

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **არჩილ ხაბაძე**